სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, 2023 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/47

2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით სტატუსშეჩერებული სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილების, სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივის გაზიარების შესახებ **ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის** (18.09.2023წ.), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-02/11 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებული სტუდენტების დავალიანების გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივის გაზიარების შესახებ **ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის** (18.09.2023წ.) გათვალისწინებით, ბსუ-ს სწავლის საფასურის დავალიანების მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომლებსაც 2023 წლის 01 აგვისტოს მდგომარეობით შეჩერებული ჰქონდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და არ გასულა სტატუსის შეჩერებიდან 5 წელი, მიეცეთ შესაძლებლობა **2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის დაბრუნდნენ ბსუ-ს სასწავლო პროცესში.**
2. მიზნებისათვის და წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისათვის **ბსუ-ს რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უზრუნველყონ** კანონმდებლობითი გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება და სამართლებრივი აქტების გამოცემა, მათ შორის სასწავლო პროცესში დაბრუნების მსურველი სტატუსშეჩერებული სტუდენტის განცხადების საფუძველზე **2023-24 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში,** სწავლის დაწყებიდან **15 დღის** ვადაში **შიდა მობილობის გარეშე სასწავლო პროცესში დაბრუნების თაობაზე რექტორის ბრძანების გამოცემა** (იმ პირობით, თუკი მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურს დაფარავს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში).

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**